ნუგზარ პაპუაშვილი

პერსპექტივები XX ს-ის საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში

პროფესორი სერგო ვარდოსანიძე საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ახალი და უახლესი ისტორიის ერთობ ნაყოფიერი მკვლევარია. საკმარისია, მის სტატიებსა და მონოგრაფიებს თვალი გადავავლოთ, რათა დავრწმუნდეთ, რომ ეს დარგი მისთვის არ მარტო სპეციალობა და პროფესიაა, არამედ უფრო ტრფობისა და ერთგულების საგანი. ამიტომ არაა გასაკვირი, რომ მისი მხედველობისა და ცოდნის არეში ზღვა მასალაა მოქცეული. აქ საგულისხმო არის ფაქტი, რომლის თანახმად ეს მასალა არა მარტო წერილობით დოკუმენტებსა და ამავე სახის ნარატივებს აერთიანებს, არამედ თაობიდან თაობებში ზეპირად გადმოცემულსა და მეხსიერებით შემონახულ ინფორმაციებსაც, – მკვლევრის მიერ მოძიებულს, აღნუსხულსა და გაანალიზებულს. ესაა სერგო ვარდოსანიძის გამოკვლევების სპეციფიკა და მეთოდოლოგიური სიახლე, რაც შესაბამის დარგს სიმდიდრეს, შინაარსსა და ხიბლს ჰმატებს.

ინფორმაციის ასერიგად მდიდარი ველი პატივცემული პროფესორის თითქმის ყველა პუბლიკაციას ახლავს, მაგრამ ზეპირსიტყვიერად შემონახული მასალის სიუხვით მაინც გამორჩეულია მონოგრაფია[1], რომელსაც ახლა ვიხილავთ. ეს ვითარება ალბათ, პირველ რიგში, შინაარსმა და კვლევის საგანმა განაპირობა. აქ, ამ ნაშრომში, არა მარტო უმაღლესი საეკლესიო იერარქების, – საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ოთხი საჭეთმპყრობლის: კირიონ საძაგლიშვილის, ამბროსი ხელაიას, ეფრემ სიდამონიძისა და ილია შიოლაშვილის, – ოფიციალური პოზიციები და საქმეები არის ასახული და წარმოჩენილი, არამედ, ასევე ამ პოზიციებთან და საქმეებთან დაკავშირებით მზის სინათლეზე არის გამოტანილი მათი მოწინააღმდეგე პერსონების როგორც ღია და პირდაპირი, ისე დაფარული და შენიღბული ზრახვანი და ქმედებანი. წერილობითად, როგორც წესი, მეტწილად პირველი რიგის, ე. ი. ოფიციალური პოზიციები და საქმეები დოკუმენტირდება,

1 სერგო ვარდოსანიძე. XX საუკუნის საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის საჭეთმპყრობელნი და მათი ოპონენტები, თბ., 2011, 220 გვ.

ჩვეულებისამებრ არქივს ჩაბარდება და გზადაგზა მკვლევრის განკარგულებაში აღმოჩნდება, რადგან ასეთი დოკუმენტები შედარებით ადვილად ხელმისაწვდომია. მოწინააღმდეგე პერსონების პოზიციები და საქმეები, რომლებიც ზოგჯერ ჩვეულებრივი ოპონირების ფარგლებს შორდება და შეთქმულებაშიც გადაიზრდება, წერილობითად ყოველთვის როდი არის დოკუმენტირებული. ისინი უფრო ხშირად ზეპირად არსებობს და თავს ინდივიდების მეხსიერებას აფარებს. მკვლევართა მზერა მათ ან ვერ სწვდება, ანდა სწვდება, მაგრამ არც თუ იშვიათად უნდობლობას იჩენს და შემოწმების ღირსად არა რაცხს, რადგან ფასმოკლებული ჭორი ჰგონია. ვხედავთ, რომ ჩვენი ავტორი ასე არ ფიქრობს; მას ორივე სახის მასალა მოუძიებია, რითაც მკითხველს შესაძლებლობა ეძლევა, ორივე მხარეს – პოზიციასაც და ოპოზიციასაც – მოუსმინოს და კულუარებში მომხდარი ამბებიც შეიტყოს. ზოგიერთი დოკუმენტი ავტორს პირველად შემოაქვს სამეცნიერო ბრუნვაში, რითაც ნაშრომის მნიშვნელობა იზრდება.

ფაქტები და მოვლენები, რომლებსაც გამოკვლევა ეხება, ოთხ ჯგუფად ნაწილდება ოთხი დასახელებული პატრიარქის შესაბამისად. მათ ერთობლიობას შეგვიძლია, შინაარსიდან გამომდინარე, XX ს-ის ქართული საეკლესიო დრამატიზმის ისტორია ვუწოდოთ, რომელიც ასევე ოთხ ქრონოლოგიურ საფეხურს მოიცავს. მათგან მასშტაბითა და სიმძაფრით პირველი ორი გამოირჩევა, რაც გასაგებია, თუ გავითვალისწინებთ იმ ატმოსფეროს, რითაც კირიონისა და ამბროსის კათალიკოსობის ხანა აღიბეჭდა. ესაა ცარისტული რუსეთისა დაშლისა და ამავე იმპერიის ახლებურად რესტავრაციის ეპოქა, რასაც მძაფრი ქარტეხილები მოჰყვა და რამაც, როგორც ქარბორბალამ, ადგილობრივი ეკლესია გლობალურად ჩაითრია. გაღრმავდა და გამძაფრდა ანტინომია სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის. ამ დროს სახელმწიფო ეკლესიას შეუნიღბავად დაუპირისპირდა. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ამა სოფლის ძლიერთა მონობის უღელში აღმოჩნდა, რასაც თითქოს თანამორწმუნეთა მობილიზაცია და კონსოლიდაცია, გნებავთ, ჯიჰადი ანუ რელიგიური გულმოდგინება უნდა გამოეწვია; ჰუმანიზმი და თავმდაბლობა, განსაკუთრებით, მორჩილების სათნოება ქრისტიანებს ყველაზე მეტად თითქოს ამ უღლის ქვეშ უნდა გამოეჩინათ. მოხდა პირიქით: საქართველოს მართლმადიდებელ ქრისტიანებს შორის შური და მტრობა, ამპარტავნება და კარიერისტობა, ურჩობისა თუ მიმომწვლილველობის (უსასოობის, სულწასულობის, მოუთმენლობის) ცოდვა ერთიორად სწორედ იმხანად და იმ პირობებში გამრავლდა. პასუხი, თუ რატომ მოხდა ასე, საგანგებო მსჯელობასა და გამოკვლევას მოითხოვს (შორს ვართ აზრისგან, რომ ყველაფე-

რი კომუნისტებს, დევნილებას და კოლაბორაციონიზმის პოლიტიკას გადავაბრალოთ). ამჯერად შემოვიფარგლებით იმის აღნიშვნით, რომ ყოველივე, რაც ვთქვით, არის ფაქტი, რაც მრავალი დოკუმენტით დასტურდება. ამ დოკუმენტებს შორისაა მასალა, რითაც განსახილველი ნაშრომი სარგებლობს.

კითხულობ აღნიშნულ წიგნს და თვალწინ წარმოგიდგება ქრისტიანთა ურთიერთსიძულვილი, რომელიც პოსტცარისტულ საქართველოში დამყარდა. ესაა წუთისოფლის ლაბირინთი, რომელსაც ბევრი უბედურება და კატაკლიზმი, ზნეობრივი და ინტელექტუალური სიმდაბლე თანსდევს. აქ პირველ რიგში იგულისხმება, როგორც შედეგი, პიროვნების დაპირისპირება სხვებთანაც და საკუთარ თავთანაც; კოლექტივთანაც და უზენაესთანაც, რაც ზოგჯერ ტრაგედიით მთავრდება. ჩვენს შემთხვევაშიც ასე მოხდა: საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ახალი ისტორია, ავტოკეფალიის განახლება, შემზარავი ტრაგედიით დაიწყო: უწმინდესი და უნეტარესი კათალიკოს-პატრიარქი, 2002 წლის 17 ოქტომბრიდან წმინდანთა დასში შერაცხილი კირიონ II (საძაგლიშვილი) 1918 წლის 27 ივნისს მარტყოფის მონასტერში, საძინებელ ოთახში, განგმირული იპოვეს. განსახილველი ნაშრომის პირველი თავი – „ტრაგიკული 1918 წელი“ – ამ მოვლენასთან დაკავშირებული საკითხების ფართო სპექტრს მოიცავს და ეჭვი არაა, რომ ნებისმიერი მკითხველი იქ სიახლეს ამოიკითხავს. არის მცდელობა პასუხი გაეცეს კითხვას, რომელიც იმთავითვე დაისვა და დღესაც დაისმის: საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საჭეთმპყრობელმა თავი მოიკლა თუ მოკლეს? ნაშრომში აღნიშნულია (გვ. 24-25), რომ იმთავითვე შემუშავდა ორი ვერსია: 1) პატრიარქმა თავი მოიკლა და 2) ის მტრებმა მოკლეს. როგორც ჩანს, ამავე ნაშრომის დამოწმებული გვერდების მიხედვით, პირველი ვერსია ეყრდნობოდა იმ პირველ ინფორმაციას აღნიშნული ტრაგედიის შესახებ, რომელიც მარტყოფიდან მისი უწმინდესობის სვინგელოზმა (თანამეინახე ბერმა), არქიმანდ. ტარასი კანდელაკმა თბილისში ჩამოიტანა. სახელმწიფო გამოძიებამაც თვითმკვლელობის ვერსიას დაუჭირა მხარი (გვ. 42). ეკლესიის მმართველმა ორგანომ, საკათალიკოსო საბჭომ, თავდაპირველად თითქოს გაიზიარა აღნიშნული ვერსია, რის გამოც ცხედრის მარტყოფის მონასტერშივე „უხმაუროდ დაკრძალვა“ მოინდომა, მაგრამ ეს ვერსია მალე უარყო. თუ როგორ მოხდა ეს „უარყოფა“ ანუ რა ვითარებაში დათანხმდა საკათალიკოსო საბჭო ცხედრის დედაქალაქში გადმოსვენებას და სიონის კათედრალში განსვენებას, სხვაგვარად რომ ვთქვათ, რამდენად გულწრფელად დაუჭირა მან მხარი მეორე ვერსიას, განსახილველი ნაშრომი მიგვანიშნებს (ჩვენ ასე აღვიქვამთ),

რომ ეს სტრუქტურა ამ შემთხვევაში გულწრფელი არ უნდა ყოფილიყო. აი, ავტორის სიტყვები: „მაგრამ ახლა კი აღარ დათმო საზოგადოებამ, გამოფხიზლდა მისი ნაწილი და კატეგორიულად მოითხოვა კირიონ II-ის ნეშტის თბილისში გადმოსვენება“ (გვ. 25). მართალია, ამ შემთხვევაში წყარო დასახელებული არ არის და არც დამატებითი ინფორმაციაა მოწოდებული, მაგრამ ეს დეტალი საყურადღებოა იმდენად, რამდენადაც ერთხელ კიდევ უსვამს ხაზს: საზოგადოება, როგორც წესი, ვერ ეგუება აზრს საყვარელი ადამიანის თვითმკვლელობის თაობაზე და ბუნებითადაა დაპირისპირებული მათ მიმართ, ვინც ამ აზრს აყალიბებს. ავტორის, პროფ. ს. ვარდოსანიძის, პოზიცია ასეთია: კათალიკოსი კირიონი მისმა იდეურმა მოწინააღმდეგეებმა და პირადმა მტრებმა მოკლეს. დეკ. ნიკიტა თალაქვაძის, იოსებ იმედაშვილისა და ბევრი სხვა სასულიერო თუ საერო პირის წერილობით თუ ზეპირ მონათხრობზე დაყრდნობით ნაშრომი ასეთ დასკვნას გვთავაზობს: „სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის უწმიდესისა და უნეტარესი კირიონ II-ის მკვლელი დავით დავიდოვ-დავითაშვილი იყო, მაგრამ ამ საქმეში ზნეობრივ პასუხისმგებლობას ვერ გაექცევიან მისი ის ოპონენტები, რომლებიც შემოკრებილი იყვნენ ჟურნალ „ახალი სიტყვის“ გარშემო..“ (გვ. 44). თუ გავითვალისწინებთ, რომ ხსენებული დავითაშვილი იმხანად მსახურობდა უწმინდესი კირიონის თანამებრძოლისა და თანამოსაყდრის მიტრ. ლეონიდე ოქროპირიძის მდივნად, რომ „ახალი სიტყვა“ ეპისკოპოს ქრისტეფორე ციცქიშვილის, შემდგომ კათალიკოს-პატრიარქის, ლოცვა-კურთხევითა და ხელმძღვანელობით გამოიცემოდა და იმასაც, რომ აღნიშნული მღვდელმთავრების გარშემო ქართველ მართლმადიდებელთა არა ერთი და ორი დასი იყო გაერთიანებული, სურათი უკიდურესად შემზარავ სახეს მიიღებს: საქართველოსთვის თავმიძღვნილი მამათმთავრის მკვლელი როგორც პირდაპირი (დაკვეთის, წაქეზების თვალსაზრისით), ისე ირიბი შინაარსით საქართველოს მართლმადიდებელ ქრისტიანთა ნახევარზე მეტი გამოდის.

კითხვა, მაინც რა მოხდა მარტყოფში, წიგნის განხილული მონაკვეთის გაცნობის შემდეგაც რეალური და დამაჯერებელი პასუხის გარეშე გამოიყურება, რადგან დავითაშვილის აღნიშნული ბრალეულობა დოკუმენტურად არ დასტურდება (ნაშრომში ეს არ ჩანს). გავითვალისწინოთ ისიც, რომ ეს პიროვნება საპატრიარქოში უმაღლეს საერო თანამდებობაზე სამსახურს შემდეგაც აგრძელებდა; საპატრიარქოს მდივნის მოვალეობას ის წმ. ამბროსი ხელაიას დროსაც ასრულებდა. რა გამოდის? ეს წმინდანი, პატრიარქ ლეონიდეზე რომ აღარაფერი ვთქვათ, ქილერებთან თანამშრომლობდა? ასეა თუ ისე, ვხედავთ (გვ.

45-46), რომ პატრიარქ კირიონის მკვლელობის ვერსიის გამყარების მცდელობა ამ დიდი საეკლესიო, ეროვნული და კულტურული მოღვაწის წმინდანად შერაცხვის საფუძველი გახდა. ამის მიუხედავად, დღესაც იმავე დატვირთვით ჟღერს წმ. კირიონის თანამედროვე ქართველი ინტელიგენციის მესვეურთა სიტყვები, ციტირებული განსახილველი გამოცემის 30-ე გვერდზე, როგორადაც იმხანად ჟღერდა: „მარტყოფის საიდუმლო გამოუცნობელია. რა მოხდა წმიდა ანტონის მონასტერში, დანამდვილებით არავინ იცის... საუკუნეებში წარხდომილმა უნეტარესმა კათოლიკოსმა საფლავში ჩაიტანა მარტყოფის ტრაგედიის ახსნა, მის სასიკვდილო იარაზე მიკრული ხელი კი ჰფარავს უღრმეს მწუხარებასთან ერთად მივარდნილი მონასტრის საიდუმლოებასაც“.

მომდევნო თავი „შეთქმულება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის უწმიდესი და უნეტარესი ამბროსის წინააღმდეგ“ ასახავს საქართველოს ძალადობრივი გასაბჭოების, არნახული ანტირელიგიური კამპანიის მძვინვარებისა და ერთიმეორეზე მიწყობილ ძნელბედობათა სერიას. აღნიშნულია, რომ ეს პროცესი გასაბჭოების პირველივე დღიდან დაიწყო: 1921 წლის 15 აპრილის დადგენილებით ეკლესია კანონგარეშე ორგანიზაციად გამოცხადდა; ქოლერისაგან გარდაიცვალა და 17 ივლისს სიონის ტაძარში დაიკრძალა კათალიკოს-პატრიარქი ლეონიდე ოქროპირიძე; საერო და სასულიერო პირების საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრებისაგან გარიყვა სახელმწიფო პოლიტიკის შემადგენელ ნაწილად იქცა. ასეთ პირობებში იმავე წლის 1-5 სექტემბერს შედგა სრულიად საქართველოს საეკლესიო კრება, რომელმაც, ბევრ სხვა საკითხთან ერთად, განიხილა ახალ ვითარებაში მართლმადიდებელი ეკლესიის იურიდიული სტატუსის საკითხი და ამ ეკლესიის საჭეთმპყრობლად აირჩია მიტრ. ამბროსი ხელაია. უკანასკნელმა საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკა სამშობლოშიც და მის საზღვრებს გარეთაც (გენუის კონფერენციისადმი მიმართული წერილით) დაგმო, რისთვისაც ის მთელ საკათალიკოსო საბჭოსთან ერთად გაასამართლეს და დააპატიმრეს. მართალია, კათალიკოსიც და მისი თანამოსაგრეებიც ვადაზე ადრე გაათავისუფლეს, მაგრამ ამ დროს გააქტიურდა სასულიერო და საერო პირების ის ჯგუფი, რომელიც ეკლესიის წინააღმდეგ განხორციელებული რეპრესიების მიზეზად კათალიკოს ამბროსისა და საკათალიკოსო საბჭოს ანტიკომუნისტობას ასახელებდა. ამ ჯგუფს ერქვა „განახლებისა და რეფორმების ჯგუფი“ და მას კათალიკოს-პატრიარქის მოსაყდრე ქრისტეფორე ციცქიშვილი და ეპ. დავით კაჭახიძე მეთაურობდნენ. მათი ინიციატივით 1926 წლის 26-27 დეკემბერს ქუთაისში შედგა საეკლესიო ყრილობა, რომელმაც დაგმო პატრიარქ ამბროსისა და საკათალიკოსო საბჭოს შე-

ურიგებლობა კომუნისტებთან და განაცხადა, რომ კომუნიზმი კარგი მოვლენაა ერთი კომპონენტის, მებრძოლი ათეიზმის გარეშე. ყრილობამ შექმნა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დროებითი მმართველობა, რომელმაც, ხელისუფლებისა და პოლიციის თანადგომით, კათალიკოს-პატრიარქს ჩამოართვა კანცელარია და საქმეთა წარმოების ყველა მექანიზმი. პატიოსანი ადამიანი გულგრილად ვერ მოისმენს მიტრ. (შემდგ. კ-პ) კალისტრატე ცინცაძის სიტყვებს ამ ამბავთან დაკავშირებით: ყრილობის გადაწყვეტილება „გამოუცხადეს მის უწმიდესობას მარტის 23. ამ გამოცხადების მეორე დღეს კათალიკოს-პატრიარქმა ამბროსიმ დაკარგა ენის ხმარების შესაძლებლობა (მარტის 25), მარტის 27 გონებაც, ხოლო მარტის 29 დილის სამ საათზე განუტევა სული... არ უნდა ავჩქარებულიყავით!“ (იხ. ნ. პაპუაშვილი, საქართველოს ეკლესია ორ მსოფლიო ომს შორის, თბ., 1996, გვ. 26).

ოპოზიციის აღნიშნულ ქმედებებს ავტორი შეთქმულებას უწოდებს და მას ხელისუფლებისაგან ინსპირირებულად მიიჩნევს (გვ. 69). არც საეჭვოა და არც გასაკვირი, რომ ხელისუფლებას მტრული ელემენტის თავიდან მოშორება სურდა. ალბათ ასეც იყო და ეს მას არა მარტო სურდა, არამედ, უნდა ვიფიქროთ, გეგმავდა კიდეც. მაგრამ ძნელია, ბოლომდე დავეთანხმოთ იმ პოზიციას (ვარაუდზე მაღლა მდგომს), რომლის თანახმად საეკლესიო-რეფორმატორულ მოძრაობას ღვთისმგმობელი ხელისუფლება მართავდა (შდრ. გვ. 73). რეფორმები ეკლესიაში მიზნად ისახავს (და ამას კომუნისტებიც აღიარებდნენ) ადამიანის გულისა და გონების რელიგიური სულით გამსჭვალვას რიტუალებისა და სხვა გარეგანი აქსესუარების შემცირების ხარჯზე. რაში აძლევდათ ხელს მებრძოლ უღმერთოებს ასეთი რეფორმა?! ისინი ხომ ადამიანებს „რელიგიური ბანგისაგან“ ათავისუფლებდნენ? ჩვენთვის ცნობილია (კალისტრატე ცინცაძის მოგონებებიდან), რომ კომუნისტები რეფორმების, მაგალითად, კალენდრის რეფორმის გაგონებაზე სიცილით კვდებოდნენ. არსაიდან (არც აღნიშნული წიგნიდან) არ დასტურდება, რომ კომუნისტები საეკლესიო რეფორმებს ახალისებდნენ. ასე რომ ყოფილიყო, ერთი საეკლესიო რეფორმა მაინც დაინერგებოდა. ქართველი საეკლესიო რეფორმატორების, იმავე განმაახლებლების, გულწრფელობაში დაეჭვების საფუძველს ვერ ვხედავთ. განა თავად კათალიკოს-პატრიარქმა ამბროსიმ არ მოაწერა ხელი საკათალიკოსო საბჭოს განცხადებას საქართველოს ეკლესიაში რეფორმების შემოღების მიზანშეწონილობისა და აუცილებლობის შესახებ?! მაგრამ ეს ცალკე მსჯელობის საგანია. აქ საკმარისია მკაფიოდ აღინიშნოს: კათალიკოს-პატრიარქ ამბროსისა და მისი ოპონენტების შეხლა-შემოხლა, საქმისთვის რა ჯობია, კო-

მუნისტებთან თანამშრომლობა თუ დისტანცირებაო, საქართველოს საეკლესიო ისტორიის ერთ-ერთი მძიმე ფურცელია და მისი შინაარსი სათანადოდაა წარმოჩენილი განსახილველ წიგნში.

ნაშრომში ყველაზე დიდ სიახლედ უნდა ჩაითვალოს საქართველოს ახლო საეკლესიო წარსულის იმ მონაკვეთების გაცოცხლება, რომლებსაც ავტორი „შიდასაეკლესიო ამბოხებებს“ უწოდებს და რომელთა შესახებ ინფორმაცია, მისივე თქმით, დღემდე „სალონურ საუბრებსა და მოგონებებს არ გასცილებია“ (გვ. 89). ეს მართლაც ასეა. ლაპარაკია 1968 და 1977 წლებში მომხდარ ბატალიებზე, რომლებიც არა მარტო მძიმედ გასახსენებელი, არამედ, პირდაპირ რომ ვთქვათ, თავისმომჭრელიცაა. მაგრამ დაფიცვაც არ ეგების. ვეთანხმებით ბ-ნ ავტორს და ვიმედოვნებთ მასთან ერთად, რომ წარსულის გახსენება, მათ შორის, – ძნელად და მძიმედ გასახსენებელის, „აწმყოსა და მომავლის სწორად გაგებაში დაგვეხმარება“ (იქვე).

რა მოხდა საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიაში 1968 წელს? სვამს კითხვას ავტორი და მოგვითხრობს ამბავს, რომლის ტერმინისეულ დეფინიციას, როგორც ჩანს, მკითხველებს ანდობს. ჩვენც გვიჭირს, ადეკვატური სახელი მოვუძებნოთ ამ ამბავს, თუმცა შეგვიძლია სიამოვნებით აღვნიშნოთ, რომ ნაშრომის ეს მონაკვეთი უაღრესად მდიდარ წყაროთმცოდნეობით ბაზას ეფუძნება. ირკვევა, ავტორისავე მითითებით, რომ ეს დიდწილად მიტროპოლიტყოფილი გაიოზ კერატიშვილის დამსახურებაა. მას, თავადაც მკვლევარს, პროფესიული გულმოდგინებით შეუკრებია სათანადო მასალა და დიდსულოვნად დაუთმია ის კოლეგისათვის. ესაა პირველხარისხოვანი დოკუმენტები, რომელთა მეშვეობით კათალიკოს-პატრიარქ ეფრემის ოპოზიციის ერთობ გამორჩეული წრის რეალური სახის წარმოჩენა ხერხდება. ინციდენტების სერია, რომელიც ამ წრესთანაა დაკავშირებული, შეკუმშულად ასე გადმოიცემა: საქართველოს სხვადასხვა კუთხის მართლმადიდებელი მორწმუნეების ნაწილმა, არქიმანდ. პართენ აფციაურის, ბეჯით ჯალაღონიას, ალექსანდრე ქათამაძის (შემდგ. ეპ. ამბროსი ნიკორწმინდელის) და ნინო იორამაშვილის ინიციატივით, აღნიშნული წლის 12 ივნისს სვეტიცხოველში მოიწვია კრება, რომელმაც მადლმოკლებულად გამოაცხადა კ-პ ეფრემ II, გაწყვიტა მასთან ევქარისტიული კავშირი და მიიღო გადაწყვეტილება, რომლის თანახმად ეპისკოპოსის პატივში უნდა აღყვანილ იქნას ბეჯით ჯალაღონია და მას ბენედიქტე ეწოდოს, ხელდასხმის (ქიროტონიის) საიდუმლოს კი აღასრულებს თავად „წმინდა ნინო მესხი“ თავისსავე საფლავზე. კრების აქტში ვკითხულობთ: კურთხევა აღესრულება „ქართველთა მეანდიეს მონასტერში ხელსა ქვეშე წმინდისა ნინოისა“

(გვ. 94-95). ასეც მოხდა: კრების აქტივი 27 ივლისს ბოდბეში ავიდა. ბეჯით ჯალაღონია შევიდა წმ. ნინოს ნეშტის განსასვენებელ საკანში, ჩაიცვა სამღვდელმთავრო შესამოსელი, ჩამოიკიდა პანაღია და გამოვიდა როგორც „წილკნელ-მცხეთელი ეპისკოპოსი ბენედიქტე". მან იქვე მღვდელმონაზვნად ხელი დაასხა ალექსანდრე ქათამაძეს და მას იაკობი უწოდა. გადაიღეს ფოტოსურათი, რომელმაც ამრიგად გაეპისკოპოსებული ბენედიქტეს თავი ნიმბშემოსილად წარმოაჩინა. ეს პიროვნება, კრების წინასწარი განჩინების თანახმად, ასევე „საპატრიარქო-ჯვართსაუფლო სვეტიცხოვლის წინამძღვრად" დაინიშნა. ამ ამბავმა მალე მიაღწია კ-პ ეფრემის ყურამდე. მან მკაცრი შეფასება მისცა ყოველივე ამას, კამპანიის დასახელებული აქტივისტები ეკლესიიდან განკვეთა და წესრიგი საერო ხელისუფლების დახმარებით აღადგინა. გავითვალისწინოთ, რომ კრების მონაწილეთა რაოდენობა 500-ს აღწევდა (გვ. 107). საქართველოს მაშინდელი მცირერიცხოვანი მართლმადიდებელი ეკლესიის პირობაზე ეს სოლიდური რიცხვი ჩანს. ამის გამო შეგვიძლია ვთქვათ, რომ 1968 წლის ივნის-ივლისში საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში მოხდა სქიზმა, თუმცა იმდენად უცნაური (მეტი რომ არ ვთქვათ), რომლის მსგავსი ეკლესიის ისტორიაში ძნელად მოიძებნება.

კითხულობ აღნიშნული დოკუმენტების კომპენდიუმს, ეცნობი მათი ავტორების აზროვნების მექანიზმსა და სტილს და გიძნელდება, თავი შეიკავო სიცილისაგან. ესაა ნამდვილი ტრაგიკომედია, რომელიც პირველ რიგში ანტირელიგიურ პროპაგანდას უმართავდა და უმართავს ხელს. ამიტომაა, რომ მკვლევარი ამ ისტორიის მამოძრავებელ ძალადაც ხელისუფლებას ასახელებს (გვ. 92-93). იგი ითვალისწინებს ეფრემ II-ის ანტიკომუნისტურ წარსულს, რისთვისაც მას შვიდწლიანი გაციმბირება ხვდა წილად, და იმასაც, რომ მან პატრიარქად აღსაყდრების შემდეგაც არ გადადგა კომუნისტების საამებელი ნაბიჯები, და ფიქრობს, რომ ზემოთ მითითებული ექსცესები და ინციდენტები ხელისუფლების მიერ იყო პროვოცირებული. ამ ფიქრს თუ ვერსიას, ცხადია, აქვს არსებობის უფლება და სპეცსამსახურების როლს ვერ გამოვრიცხავთ, მაგრამ ეს მაინც ვარაუდის სფეროა. პასუხისმგებლობის ტვირთი ძირითადად მაინც ეკლესიის კისერზე დგას. გავიხსენოთ აქტივისტების ვინაობა. ისინი არიან სასულიერო პირები ან სასულიერო სასწავლებლის კურსდამთავრებულები, უმაღლესი იერარქების მიერ მოწონებულები და ხელდასხმულები. ამის გამო ბუნებრივად და ლოგიკურად დაისმის კითხვა: ხომ არ შეიცავდა და ხომ არ შეიცავს ამ იერარქების სამოძღვრო პრაქტიკა დეფექტსა და ნაკლოვანებებს?!

თავს უფლებას მივცემ და მკითხველებს ჩემი თავგადასავლის ერთ ეპიზოდს გავუზიარებ. იქნებოდა 1974 თუ 75 წელი, როდესაც თბილისის ერთ ქუჩაზე ერთი სასულიერო პირი შევნიშნე, გარეგნობითაც და შესამოსლითაც გამორჩეული: „მცხრალი თვალების ღრმა მეტყველებით“ (ილიას „განდეგილი“ გამახსენდა), ქილებიანი ანაფორით ანუ ჩოხა-ანაფორით და პანაღიით. დავინტერესდი, მაგრამ ახლოს მისვლა და გასაუბრება ვერ გავბედე (საკმაოდ კუშტი გამომეტყველება ჰქონდა). ამ პიროვნებას სხვა დროსაც გადავეყარე, გაცნობა კი ვერა და ვერ მოვახერხე. ცნობისწადილს ვერ ვიოკებდი. ჩემმა ლექტორმა, საქართველოს ისტორიის პროფესორმა შოთა ბადრიძემ იმედიც მომცა: ეს კაცი არის ბენედიქტე ჯალაღონია, რაღაც არაჩვეულებრივი წესით გაეპისკოპოსებული და ზვიად გამსახურდიას დიდი მეგობარიო, მე მას ვიცნობ და შენც გაგაცნობო. ინტერესი გაიზარდა და სიმპათიაც გაღრმავდა. ამასობაში ბერი გაბრიელ ურგებაძე (დღეს წმ. მამა გაბრიელ სალოსად პატივდებული) გავიცანი. მან ერთხელ, მისი ეზოს ეკლესიის სენაკში, მაჩვენა ფოტოსურათი, რომელიც ზემოთ ვახსენეთ. ეტყობოდა, სასოებით ინახავდა; ამბობდა, აქ სიყალბეს ვინ გაბედავდაო, მაგრამ (არ ვიცი, რა მოხდა) დაავლო ხელი მაკრატელს, სურათიდან ნიმბიანი ბენედიქტე ამოჭრა (ხატებს ვერ შევეხებიო) და დააქუცმაცა. მართალია, ბოდბის ამ სასწაულში უკვე ეჭვი მეპარებოდა, მაგრამ ისტორიისათვის საჭირო დოკუმენტის განადგურება ბარბაროსობად შევრაცხე.

დოკუმენტური მასალის, მათ შორის სამეცნიერო ბრუნვაში პირველად შემოსული დოკუმენტების, სიმდიდრით გამოირჩევა აგრეთვე ბოლო თავი: „34 წლიანი მზიანი ღამის ქრონიკები", რომელიც კათალიკოს-პატრიარქ ილია II-ის პირველიერარქად მოღვაწეობის საკვანძო მომენტებს ეხება და ამ მოღვაწეობის უკრიტიკობით, დადებითად და მხოლოდ დადებითად შეფასებით ხასიათდება. ეს ქრონიკები (და შესაბამისად ქვეთავები) არის შემდეგი: ა) „1977 წლის მოვლენები“; ბ) „გადადექი, პატრიარქო (1982-1983 წლების წრონიკა)“; გ) „XX საუკუნის 90-იანი წლების ქრონიკები", რომელთა შინაარსი, ვფიქრობთ, ჩვენი ნებისმიერი მკითხველისათვის ისედაც ცხადი და გამჭვირვალეა. ამავე მკითხველებს ალბათ არ გაუჭირდებათ იმ განსხვავების შენიშვნა, რომელიც, ერთი მხრივ, პირველ ორ და, მეორე მხრივ, მესამე ქრონიკას შორის არსებობს. პირველ შემთხვევაში, სადაც ძირითადად ლაპარაკია კომუნისტებისდროინდელ (1977-1983 წწ-ის) ამბებზე, სახელმწიფო მთლად კეთილად არ არის განწყობილი ეკლესიის მიმართ და ის პრობლემები, რომლებიც კ-პ ილია II-ს არჩევის ჟამს და შემდგომ წლებშიც შეემთხვა, შესაძლებელია, ხელისუფლების

რომელიღაც შტოს მიერ მართლაც იყო წახალისებული, მაგრამ ვხედავთ (ამავე დოკუმენტების საფუძველზე), იმდროინდელი მთავრობა მეტწილად აღნიშნული იერარქის ინტერესების მხარეს იდგა. სახელმწიფოსა და მისი პოლიტიკური ელიტის მხრიდან ეკლესიისადმი არამც თუ ლოიალობზე, არამედ საოცრად დიდ თანადგომასა და მფარველობაზე მეტყველებს მესამე ქრონიკა – გასული საუკუნის 90-იანი წლების ამბები. წიგნი მთავრდება დანართით (,,დამატებანი"), რომელშიც შესულია რამდენიმე წერილობითი დოკუმენტი, თუმცა წყაროები, რატომღაც, მითითებული არ არის.

განხილულ წიგნში XX ს-ის საქართველოს საეკლესიო ისტორიის ყველა მნიშვნელოვანი მოვლენის ისეთი მიმოხილვა და ანალიზი გვხვდება, რომ რიგითი მკითხველიცა და სპეციალისტიც უსათუოდ წააწყდება ახალ ფაქტს ან ახლებურ ინტერპრეტაციას. ეს მიმოხილვები, ჩვენი დაკვირვებით და შეფასებით, ობიექტური და მეცნიერულია, თუმცა გვხვდება ფაქტის არაადეკვატურად გადმოცემის შემთხვევებიც. ამ შემთხვევაში ერთს გავიხსენებთ. წიგნის მე-20 გვერდზე ვკითხულობთ: „რომის პაპისადმი გაგზავნილ წერილში კათოლიკოს-პატრიარქი კირიონ II ესარჩლებოდა იმ ქართველ კათოლიკეებს, რომელთაც XIX საუკუნის 90-იანი წლებიდან სომხები რუსეთის იმპერატორის მიერ მიღებული ბრძანების საფუძველზე ძალით ასომხებდნენ". წყარო დასახელებული არ არის და ჩვენთვის უცნობია, რომელი ბრძანება იგულისხმება აქ და რაში გამოიხატებოდა „ძალით გასომხება". ჩვენ კარგად ვიცნობთ კირიონ კათალიკოსის აღნიშნულ წერილს. გამოქვეყნებული გვაქვს მისი ქართული ორიგინალიც და ფრანგული თარგმანიც, რითაც ეს დოკუმენტი ადრესატს გაეგზავნა. უწმინდესი იქ ლაპარაკობს არა ქართველი კათოლიკეების რომელიმე ნაწილზე, არამედ საქართველოს ყველა კათოლიკეზე და აღთქმას დებს, რომ იგი დაიცავს მათ უფლებებს. იმ ტენდენციურობის მიზანი და საფუძველი, რაც ციტირებულ სიტყვებში ჩანს, ჩვენთვის გაუგებარი და აუხსნელია. ვიმეორებთ, ამ წიგნის მიხედვითაც ჩანს, რომ პროფესორ სერგო ვარდოსანიძის ხელთაა მდიდარი წყაროთმცოდნეობითი ბაზა და მყარი აკადემიური მეთოდოლოგია, რაც ამგვარი კაზუსების თავიდან აცილების გარანტად წარმოგვიდგება.